პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 42 (18284) შაბათი, 20 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა საქართველოს — სამშობლოს დიდი ჯილდო: გამარჯვების დროშა — ზედიზედ მეცხრედ!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოკრუგების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, ახალ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო განვითარდა საგინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა, ახალ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაწეილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვეს:

მოკავშირე რესპუბლიკები

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

უზბეკეთის სსრ
საქართველოს სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ტაჯიკეთის სსრ
სომხეთის სსრ.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მრეწველობაში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

ბელორუსიის სსრ
ლიტვის სსრ.

1981 წელს მარცვლეულისა და სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაზით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის

უკრაინის სსრ.

ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: დაღესტნის ასსრ, ყალმუხეთის ასსრ, იაკუტიის ასსრ, სტავროპოლის მხარე, კამჩატკის ოლქი, ქალაქი ლენინგრადი, ლენინგრადის ოლქი, მაგადანის ოლქი, ქალაქი მოსკოვი, მოსკოვის ოლქი, მურმანსკის ოლქი, ტომსკის ოლქი, ტიუმენის ოლქი, ჩიტის ოლქი, მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქი;

უკრაინის სსრ რესპუბლიკაში: იმიერკარპატეთის ოლქი, ქალაქი კიევი, ყირიმის ოლქი;

უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში: ჯიზაყის ოლქი, სურხანდარიის ოლქი, ტაშკენტის ოლქი;

ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში: აქტიუბინსკის ოლქი, კოკჩეტავის ოლქი, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი, ტალდი-კურგანის ოლქი, ჩიმკენტის ოლქი;

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში: აფხაზეთის ასსრ;

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში: მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი;

ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკაში: ნარინის ოლქი;

ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკაში: კურგან-ტიუბის ოლქი;

თურქმენეთის სსრ რესპუბლიკაში: მარის ოლქი;

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მრეწველობაში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: ბაშკირეთის ასსრ, ზღვისპირეთის მხარე, ივანოვოს ოლქი, როსტოვის ოლქი, სარატოვის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი;

უკრაინის სსრ რესპუბლიკაში: ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, ლვოვის ოლქი, ოდესის ოლქი, ხერსონის ოლქი;

ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში: გროდნოს ოლქი, მინსკის ოლქი.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის

ქალაქები

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: ასტრახანი, ბალაკოვო (სარატოვის ოლქი), ბელგოროდი, ბერდსკი (ნოვოსიბირსკის ოლქი), ბიისკი (ალტაის მხარე), ბლაგოვეშჩენსკი (საოლქო), ბრიანსკი, ვოლესკი (ვოლგოგრადის ოლქი), ვოლოგდა, ვორკუტა (კომის ასსრ), ვორონეჟი, გროზნი, დონგოგორსკი (კრასნოიარსკის მხარე), ეუეესკი, ირკუტსკი, იოშკარ-ოლა, კალინინი, კალუგა, კასპიისკი (დაღესტნის ასსრ), კიროვო-ჩეპეცკი (კიროვის ოლქი), კოროვი (ვლადიმირის ოლქი), კონდოპოგა (კარელიის ასსრ), კოსტრომა, კურგანი, კურსკი, მიასი (ჩელიაბინსკის ოლქი), ნაბერეჟნეი ჩელნი (თათრეთის ასსრ), ნალჩიკი, ნეფტეკამსკი (ბაშკირეთის ასსრ), ნიჟნი ტაგილი (სვერდლოვსკის ოლქი), ნოვგოროდი, ომსკი, ორიოლი, ორენბურგი, ორეხოვო ზუევი (მოსკოვის ოლქი), პერმი, რიბინსკი, (იაროსლავლის ოლქი), რიაზანი, სარანსკი, სვეტლოგორსკი (კალინინგრადის ოლქი), სევეროდვინსკი (არხანგელსკის ოლქი), სოსნოვი ბორი (ლენინგრადის ოლქი), სოჭი (კრასნოდარის მხარე), ტულა, ულიანოვსკი, ჩაპაევსკი (კუიბიშევის ოლქი), ჩებოქსარი, იუჟნო-სახალინსკი, იარცევო (სმოლენსკის ოლქი).

უკრაინის სსრ რესპუბლიკაში: ბელაია ცერკოვ (კიევის ოლქი), ვინიცა, ვოროშილოვგრადი, დნეპროპეტროვსკი, დონეცკი, კრემენჩუგი (პოლტავის ოლქი), ნიკოლაევი (საოლქო), როვნო, სვეტლოვოდსკი (კიროვოგრადის ოლქი), სევასტოპოლი, სმელა (ჩერკასის ოლქი), სუმი, ტერნოპოლი, ხარკოვი;

ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში: ბობრუისკი (მოგილევის ოლქი), ბრესტი, ვიტებსკი;

უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში: ბუხარა, კოკანდი (ფერგანის ოლქი), ნუკუსი, ტაშკენტი;

ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში: ალმა-ათა, ბალხაში (ჯეზყაზგანის ოლქი), კუსტანაი, ცელინოგრადი;

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში: ქუთაისი, თბილისი;

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში: ბაქო, კიროვაბადი;

ლიტვის სსრ რესპუბლიკაში: ვილნიუსი, შიაულიაი;

მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში: კიშინიოვი;

ლატვიის სსრ რესპუბლიკაში: რიგა;

ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკაში: ჯალალ-აბად ოშის ოლქი, ფრუნზე;

ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკაში: ლენინაბადი;

სომხეთის სსრ რესპუბლიკაში: ერევანი, კიროვაკანი;

თურქმენეთის სსრ რესპუბლიკაში: აშხაბადი;

ესტონეთის სსრ რესპუბლიკაში: ტალინი.

კორიაკთა, ხანტი-მანსის, ევენკთა და იამალ-ნენთა ავტონომიური ოკრუგები, 8 საქალაქო და 144 სასოფლო რაიონი.

გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციების 871 კოლექტივი, მათ შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე შეიტანეს 515 კოლექტივი;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების 749 კოლექტივი, მათ შორის 250 კოლექტივი შეიტანეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაწეილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, „მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაწეილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, და ამ საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მუშაკის, თითოეული შრომითი კოლექტივის მიერ 1982 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას. უზრუნველყონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული შრომითი კოლექტივების გამოცდილების, აგრეთვე იმ მნიშვნელოვან წამოწყებათა ყველგან გავრცელება და დანერგვა, რომელთა მიზანია წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების გაუმჯობესება, მატერიალური, შრომითი და თბოენერგეტიკული რესურსების ყოველმხრივ დაზოგვა.

ფართოდ გაშალონ შეჯიბრება ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. მოიწონონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა მოწინავე კოლექტივების ინიციატივა ქვეყნის სახელოვანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, ხუთწლედის ორი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად.

ცენტრალური, რესპუბლიკური, დარგობრივი, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებმა უფრო სრულად გააშუქონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, უფრო ღრმად გამოავლინონ მოწინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში, არსებული ნაკლოვანებათა მიზეზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, ავტონომიური ოკრუგების მშრომელებს, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს — საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი წარმატებებით შეხვდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

● ●

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული კოლექტივების სია ქვეყნდება დარგობრივ, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებში.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი საქართველოს სს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისმინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

1. **საქართველოს სსრ**
2. **აფხაზეთის ასსრ**
3. **ქ. ქუთაისი**
4. **ქ. თბილისი**
5. **ბოგდანოვკის რაიონი**
6. **გურჯაანის რაიონი**
7. **მახარაძის რაიონი**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე არიან შეტანილი შემდეგი კოლექტივები:

8. „საქნაგთობის“ საწარმოო გაერთიანება, ქ. თბილისი
9. ქუთაისის პურეული პროდუქტების კომბინატი
10. თბილისის 1 მაისის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სამკერვალო ფაბრიკა
11. საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“, ქ. მარნეული
12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტი. ქ. გურჯაანი
13. „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 10 ტრესტი, ქ. სამტრედია
14. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 დიდბლოკიანი სახლმშენებლობის სპმშენებლო ტრესტი, ქ. თბილისი
15. „თბილისმრეწმშენის“ № 3 სამშენებლო ტრესტი, ქ. თბილისი
16. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი
17. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება
18. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველო
19. სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, გორის რაიონი
20. სოფელ კახათის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონი
21. ჯანდარის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ შემდეგი კოლექტივები:

22. თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება
23. ქუთაისის პურკომბინატი
24. ცხაკაიას ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება
25. გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონი
26. კავკასიის სახელმწიფო საკავშირო „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ტრესტი „ელექტროქსელმშენი“, ქ. თბილისი
27. № 2 საშუალო სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ყვარლის რაიონი
28. საქართველოს ცეკავშირის მარნეულის საცდელ ექსპერიმენტული სასურსათო კომბინატი
29. საქართველოს სსრ საავტომობილო გზათა სამინისტროს № 1 ტრესტის № 9 ხიდსარემონტო-სამშენებლო სამმართველო, ქ. თელავი
30. თბილისის საქალაქო აღმასკომის გამწვანებისა და ბაღ-პარკების მეურნეობის საწარმოო სამმართველო
31. სოფელ ბურნაშეთის ჭ. ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობა, ახალქალაქის რაიონი
32. სოფელ ფასანაურის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, დუშეთის რაიონი
33. სოფელ ჩაისუბნის გ. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, ჩოხატაურის რაიონი
34. აბაშის სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანება, აბაშის რაიონი
35. ზუგდიდის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება
36. საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობა, მახარაძის რაიონი
37. სიდის მ. ცხაკაიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონი
38. სოფელ ჩაისუბნის ე. ტელმანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, აჭარის ასს რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონი
39. სოფელ უკანამხრის კოლმეურნეობა „საქართველო“, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონი.

კიდევ ერთი სიხარული გამარჯვებისა!

მეგობართა გულის სიტყვა

წერილი აზერბაიჯანიდან

ჩვენ, ალი-ბაირამლის საბურღ სამუშაოთა სამმართველოს მშრომელებმა დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მე, ისევე როგორც ყველა ჩემს კოლეგას, მწამს, რომ ამ წარმატებაში თავიანთი შრომითი წვლილი შეიტანეს იმათაც, ვისაც ჩვენ ვეჯიბრებით — საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" კოლექტივმა და, რა თქმა უნდა, ბურღვის ოსტატებმა პ. ჭრიკიშვილმა, ა. მუხიაშვილმა, ზ. შიოშვილმა და სხვებმა. „საქნავთობმა" ვადამდე გაანაღდა გასული წლის გეგმა. მბურღავებმა დავალების დამატებით გაბურღეს ასობით მეტრი გრუნტი. მინდა გაცნობოთ, რომ წლიური გეგმა ჩვენც ვადამდე შევასრულეთ — დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისათვის. მარტო ჩვენმა ბრიგადამ ექსპლოატაციის მუშაკებს დაგეგმილი ექვსის ნაცვლად შვიდი ჭაბურღილი გადასცა.

მინდოდა ზოგი რამ მეთქვა ტექნოლოგიური რეჟიმების კონტროლის მეთოდების, ამოქმედება-აწევითი ოპერაციების დაჩქარების ხერხების შესახებ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთავარი ეს არ არის, მთავარი ადამიანებია. ამ აზრს ახალს ვერ უწოდებ, მაგრამ ყოველთვის, როცა ადამიანებზე ფიქრობ, გაოცებს ჩვენი მუშების სიმტკიცე, შეუპოვრობა და დიდსულოვნება.

ვილაით მამედოვი, მაშყურ გასანოვი, ავერ შაქაროვი... აი, ჩემი ბრიგადის წევრები. როცა თქვენი გამარჯვების ამბავი გაიგეს, მათ ერთხმად განაცხადეს: „მხოლოდ მეგობრობაა წარმატების საწინდარი, მხოლოდ შეჯიბრებაა გამარჯვების წყარო". მაშ კვლავაც განვაგრძოთ შეჯიბრება, ძვირფასო მეგობრებო. ღირსეულად შევხვდეთ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. ჩვენ ხომ ყველას ერთი მიზანი გვაქვს: დღითიდღე სულ უფრო გავამძლავროთ და გავამშვენიეროთ ჩვენი საყვარელი სამშობლო.

ა. ამანოვი,

სოციალისტური შრომის გმირი, ალი-ბაირამლის საბურღ სამუშაოთა სამმართველოს ბურღვის ოსტატი.

წერილი სომხეთიდან

ხალხი ამბობს: მეგობრის სიხარული შენი სიხარულიაო. ჩვენი რაიონის ყველა მშრომელი დიდად გაახარა იმ ცნობამ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით. ეს გასაგებიც არის. უკვე ორმოც წელზე მეტია ჩვენი რაიონი ემეგობრება და ეჯიბრება მახარაძის რაიონს. ამ შრომითს მეტოქეობას კარგი ნაყოფი გამოაქვს: გამოცდილების გაზიარება, სისტემატური შეხვედრები გვამდიდრებს, ახალ ძალებს გვმატებს მაღალი შრომითი მაჩვენებლების მისაღწევად.

განსაკუთრებით გვახარებს იმის შეგნება, რომ საერთო გამარჯვებას საგრძნობი წვლილი შემატეს სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. სწორედ ამ კოლმეურნეობამ მისცა დასაბამი ჩვენს მეგობრობას. 1938 წელს ნატანებელმა კოლმეურნეებმა რესპუბლიკურ გაზეთს „კომუნისტს" გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებულ წარმატებებს. ცოტა ხნის შემდეგ კი ქართული გაზეთის „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა სოფელ ფოქრ-შაორიანის (ამჟამად — ნალბანდიანი) კოლმეურნეთა წერილი. ისინიც უზიარებდნენ ქართველ მეგობრებს თავიანთი წარმატების ამბავს. შემდეგ ეს მიმოწერა მთელ ქვეყანას გააცნო გაზეთმა „პრავდამ". ორი კოლმეურნეობის თანამეგობრობა რაიონის სხვა მეურნეობების მეგობრობადაც გადაიზარდა. მან გამოხატულება პოვა ფერად დოკუმენტურ ფილმში „ურღვევი მეგობრობა".

ჩვენი წარმატებებითაც ვამაყობთ. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა ჩვენმა რაიონმა სასოფლო-სამეურნეო წელი. ამინდის რთული პირობების მიუხედავად ყურძნის უხვი მოსავალი მოვიწიეთ: დაგეგმილი 35 ათასი ტონის ნაცვლად მოვკრიფეთ 53 ათასი ტონა ყურძენი; თავი ისახელეს აგრეთვე მემინდვრეებმა და მეცხოველეებმა, რომლებმაც გადაჭარბებით გაანაღდეს დავალებანი.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჰექტარზე 220 ცენტნერი ყურძენი მოიწია. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რესპუბლიკის მასშტაბით.

ახლა ჩვენთან გაჩაღებულია ზამთრის სამუშაოები: მიმდინარეობს ვაზის მწკრივთშორისების გადაბარვა, ნიადაგში შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები, ამთავითვე ვუყრით საფუძველს მომავალ მოსავალს. ჩვენ განზრახული გვაქვს მიმდინარე წელს სამშობლოს ჩავაბაროთ დაახლოებით 60 ათასი ტონა ქარვისფერი მტევნები.

დ. აკოფიანი,

სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნორაპატის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

სურათებზე: ბურღვის ოსტატი ფარნაოზ ჭრიკიშვილი და მისი თანაშემწე ავთანდილ ლობჟანიძე; ნავთობის კოშკი სამგორში; ნავთობის და გაზის მომზადების საამქროს მოწინავე ოპერატორები ვარლამ გაბადაძე, ზაალ კიკნაძე, რაჟდენ ჩადუნელი, ნოდარ ქარუმიძე და თამაზ ყაყაჩოველი.

ავტორის ფოტო.

სიამაყე და ვალდებულება!..

კვლავაც მეტად სასიხარულო და საამაყო მოვლენის მოწმენი ვართ. საქართველო უკვე ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ჩვენი რესპუბლიკის შრომითს მიღწევებში გარკვეული წვლილი შეიტანეს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს გასული ხუთწლედი და თავდადებით შეუდგნენ მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა შესრულებას. შარშან მნიშვნელოვანი შედეგები მოვიპოვეთ; ზეგეგმით გამოვუშვით 20 მილიონ 543 ათასი მანეთის პროდუქცია. ხოლო 1980 წელთან შედარებით 62 მილიონ 685 ათასი მანეთით მეტი ნაწარმი დავამზადეთ, ამასთან წარმოების ზრდის ტემპმაც შესაბამისად 104,2 პროცენტი შეადგინა.

წარმატებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც. 1980 წელთან შედარებით გაყიდულია 58 მილიონ 647 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ამ წარმატებაში თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივის წვლილიც არის. შარშან, მაგალითად, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა ჩვენთან 115,3 პროცენტს მიაღწია. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 15 მილიონ 439 ათასი მანეთის ქსოვილი. ეს წარმატება თავისთავად არ მოსულა.

მას წინ უძღოდა მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანი. კომბინატი რეკონსტრუირებული და ტექნიკურად განახლებულია. ერთი სიტყვით, ჩვენმა საწარმომ მთლიანად იცვალა სახე, შეიქმნა ნართის წარმოების ახალი ტექნოლოგიური ციკლები, დამონტაჟდა უცხოური და სამამულო დიდმწარმოებლური საჩეჩი, სართავი, საგრეხი მანქანა-დანადგარები, მწყობრში ჩადგა ახალი სამღებრო-გამოსაყვანი საამქრო, დაიდგა საკაპრონიზაციო დანადგარი, ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ ახლო მომავალში მკვეთრად გავაუმჯობესებთ ნაწარმის ხარისხს.

ახალ ხუთწლედში სკკპ XXVI ყრილობამ განსაკუთრებული საპასუხისმგებლო პროგრამა დაუსახა მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების მიწოდება. 1980 წელთან შედარებით 1985 წლამდე ამგვარი სახეობის ნაწარმის წარმოების ზრდის ტემპი მსუბუქი მრეწველობის ხაზით 31,8 პროცენტით გაიზრდება. განსაკუთრებით დიდია წარმოების ზრდის ტემპი შალეულის, ბამბეულის, ტრიკოტაჟის მრეწველობაში. მნიშვნელოვნად გადიდდება ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში. დიდი ყურადღება დაეთმობა ასორტიმენტის განახლებას აბრეშუმის, ბამბეულის, ტრიკოტაჟის მრეწველობაში. ასორტიმენტი 70-80 პროცენტით შეიცვლება, მკვეთრად ამაღლდება ქსოვილის მხატვრულ-კოლორიტული ღირსება.

როგორც ცნობილია, დღეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამრეწველო ნარჩენების გამოყენების საკითხი. ამ ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის ექვსი საწარმო უნარჩენოდ იმუშავებს. ესენია თბილისის უქსოვი ფართლეულის, თბილისისა და შულავრის მატყლის სარეცხი ფაბრიკები, ქეჩის ფაბრიკა და სხვა...

გათვალისწინებულია ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საწარმოებში ნარჩენების გადამუშავება იმდენად გადიდდეს, რომ შესაძლებელი გახდეს გამოვიყენოთ საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში არსებული ყველა ნარჩენი, რომელთა სათანადო ტექნოლოგიური დამუშავებით აბრეშუმის ნართის ტილოს — ჩესუჩას მივიღებთ.

მიმდინარე ხუთწლედში გაცილებით მეტი კაპიტალური დაბანდების გამოყენება შეგვიძლია. მწყობრში ჩადგება თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახალი შენობები, ქუთაისში აშენდება ახალი მაუდის ფაბრიკა, აქვე მოქმედ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მოხდება სრული ტექნიკური განახლება, თბილისში აიგება 5200 ტონა მწარმოებლობის უქსოვი ფართლეულის ნაწარმის ფაბრიკა და სხვა, რომლებიც ხელს შეუწყობს პროდუქციის მოცულობის გადიდებას. ერთი სიტყვით, წინ ბევრი საინტერესო და სასახელო საქმეები გველოდება.

დღეს ჩვენს გულს მიღწეული გამარჯვების სიხარული ავსებს. ამ სიხარულს ჩემი ბრიგადის წევრებიც სამართლიანად იზიარებენ, რამეთუ ამ დიდ გამარჯვებაში ჩვენი მცირე წვლილიც არის. შარშან ჩემმა ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 13 ათას 800 კილოგრამი ნართი დაამზადა, წელსაც კარგი მაჩვენებლები გვაქვს.

ჯილდო, რომელიც რესპუბლიკამ დაიმსახურა, საქართველოს მშრომელებთან ერთად ჩვენი დარგის მუშაკებს რწმენას უსახავს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, მაღალი მიჯნების დასაპყრობად.

ვ. ქემაშვილი,

ქარგალი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი.

ქართველ მენავთობეთა შემართება

სამგორის მიწა! გაზაფხულზე აქ ყველაფერი ცოცხლდება: მწვანედ ბიბინებს მინდვრები, ყვავის ბაღები, ჭლურტულებენ ჩიტები. ახლა კი, ზამთრის ამ დღეებში გარშემო ყველაფერი თეთრად გადაპენტილა და მხოლოდ ქარი დანავარდობს, თანაც ისეთი, რომ წაგაქცევს. მზე ტყვიისფერ ღრუბლებში და ნისლშია გახვეული. ეს ის მიწაა, ამ ოცდაათი წლის წინათ გადახრუკული, მშრალი და უწყლო რომ იყო.

და მახსენდება წარსული, როცა იორის წყალი ადამიანის ნებით მოვიდა სამგორის მიწაზე და მაგისტრალური არხიდან გადაეშვა უზარმაზარ ქვაბულში, ახლა უკვე „თბილისის ზღვაში". ეს იყო დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. მაგრამ იმ დროს ზეიმის ათიათასობით მონაწილეს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას შეიცავდა სამგორის წიაღი.

როგორ გარდაიქმნა ეს მხარე! აქ მთელი წლის განმავლობაში შრომობს ხალხი. ბაღ-ვენახებში განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები. წამდაუწუმ სამგორის გზებზე დადიან მილებით, ცემენტით, სხვა საშენი მასალებით, საბურღი მოწყობილობით დატვირთული მანქანები.

1974 წელს ამ მიწაზე მოვიდნენ გეოლოგები, გაჩნდა პირველი საბურღი კოშკები. და მათი მძიმე შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. სამგორ-პატარძეულის რაიონში ნავთობის საბადოს მიაგნეს.

დღეს ჩვენ გადმოგცემთ რეპორტაჟს სამგორიდან. საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" გენერალური დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი რევაზ თევზაძე გვიამბობს:

— ქართულ ნავთობს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XII საუკუნეში ცდილან მის მოპოვებას. გასულ საუკუნეში მიმდინარეობდა მთელი რიგი წვრილწვრილი ნავთობის საბადოების დამუშავება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო საძიებო-სადაზვერვო სამუშაოები. აღმოაჩინეს რვა ნავთობის საბადო. მაგრამ არც მათ არ მოჰყოლია დიდი სამრეწველო ეფექტი.

1974 წელი სამართლიანად მიგვაჩნია გარდატეხის წლად, მაშინ აღმოჩნდა ნავთობის მარაგი და დაიწყო მისი ინტენსიური დამუშავება. მენავთობეები ამ წელიწადს რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის მეორედ დაბადების წლად მიიჩნევენ. საინტერესოა ასეთი შედარება: 1974 წლამდე ერთ წელიწადში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა შეესაბამება ამჟამად სამ დღეში მოპოვებულს. მოპოვების მოცულობის მატებით რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნავთობი „მსუბუქ" (უმაღლესი ხარისხის) კატეგორიას განეკუთვნება და ამავე დროს ერთ-ერთი იაფი ნავთობია ჩვენს ქვეყანაში. „საქნავთობის" კოლექტივმა გადააჭარბა შრომის ნაყოფიერების საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს და შეამცირა ერთ მანეთზე სასაქონლო პროდუქციის დანახარჯები.

რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანებებს შორის მენავთობეებმა პირველებმა შეასრულეს ვადამდე მეათე ხუთწლედის გეგმა. ამ პერიოდის მანძილზე მოპოვების მოცულობა თორმეტჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. გეგმის გადამეტებით მოპოვებულია მილიონობით ტონა ნავთობი და მომყოლი გაზი, რისთვისაც „საქნავთობის" გაერთიანება პირველი შეიტანეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე, მას ზედიზედ ცხრამეტჯერ მიენიჭა საკავშირო დარგობრივი გარდამავალი წითელი დროშა. „საქნავთობის" კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო პროგრამაც წარმატებით შეასრულა.

დიდი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის მენავთობეებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ: მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველყონ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი ნავთობის რესურსებით.

ამისათვის საჭიროა ხუთწლედის მანძილზე 1,5-ჯერ გაიზარდოს ნავთობის მოპოვება, განხორციელდეს დიდი სადაზვერვო სამუშაოები სამგორის საბადოს აღმოსავლეთ ნაწილში, ნინოწმინდისა და რუსთავის პერსპექტიულ მოედნებზე, გაიზარდოს ნავთობის გამოსავალი ძველი საბადოებიდან, სადაც ჯერ კიდევ არის ნავთობის მარაგი; ამასთან წლეულს 30 პროცენტით გადიდდეს ბურღვის მოცულობა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით, განხორციელდეს დიდი სამუშაოები ნავთობის მარაგის მატებისათვის.

„საქნავთობის" ყველა საწარმოში დევიზით — „სსრ კავშირის მე-60 წლის თავს — 60 დამკვრელური შრომითი კვირა" ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 15 ათასი ტონა ნავთობი, გაბურღოს 1200 მეტრი ქანი, გაასაღოს 150 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, დაზოგოს 800 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 500 ტონა პირობითი სათბობი. ასეთ შრომითს საჩუქარს უმზადებენ სამშობლოს იუბილეს ქართველი მენავთობეები.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მოპოვებულ ნავთობს ათეულ ტონობით ანგარიშობდნენ. ამ ბოლო წლებში უკვე მილიონტონობით ანგარიშობენ, ხოლო სიტყვა „მენავთობე" რესპუბლიკაში მეფოლადეს და მეშახტეს გაუტოლდა.

მენავთობის პროფესია ძნელი და რთულია. დღედაღამ, სიცივესა და პაპანაქებაში, მუდამ ღია ცის ქვეშ და ფერდობებზე შრომობენ ნავთობის მზვერავები და ექსპლოატაციის მუშაკები. თავის მოსაფხანი დრო არა აქვთ: თუ საბურღი გააჩერე, ნავთობი იკარგება.

ნავთობის მოპოვების ზრდასთან ერთად გაერთიანებაში გაჩნდნენ გამოცდილი, თავიანთი საქმის საუცხოოდ მცოდნე ოსტატები.

ჩვენ ვეწვიეთ მბურღავთა ბრიგადას, რომელსაც მბურღავი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ფარნაოზ ჭრიკიშვილი ხელმძღვანელობს. მისი კოშკი განლაგებულია სამგორის საბადოზე სოფელ ხაშმის მახლობლად.

აი უკვე ოცდაჩვიდმეტი წელია „ეძებს" იგი ნავთობს და ამ წლების მანძილზე ბევრიც „იპოვა". აი ახლაც. ამბობს ფარნაოზი, ამ ჭაბურღილში ჩვენ უკვე გავბურღეთ 1300 მეტრი, ნავთობი კი ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ იქნება, ასე მგონია ჩემი გამოც-

...ბურღა 5.680 მეტრი. ეს გეგმის 142. პროცენტია. უკვე სამი წელია, რაც ვინარჩუნებთ „სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მბურღავთა საუკეთესო ბრიგადის" წოდებას და ბრიგადა არ აპირებს მის დათმობას. შრომაში დიდი დამსახურებისათვის ფარნაოზი ორი ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული.

მბურღავ ლევან ხიზანიშვილს შრომაში მოპოვებული საუცხოო მაჩვენებლებისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. სახელოვნად შრომობენ ბურღვის ოსტატთა აბრამ მუხიაშვილისა და მირიან ზუბაშვილის ბრიგადები. კიდევ ბევრი შრომის წარჩინებულის ჩამოთვლა შეიძლება...

ნავთობისა და მომყოლი გაზის მოპოვების მკვეთრმა მომატებამ, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანმა გადიდებამ დიდად გაზარდა მუშათა და სპეციალისტთა ხელფასი. მაგალითად, მოწინავე მბურღავის ერთი თვის ხელფასი 350-400 მანეთია, მოპოვების ოპერატორებისა — თითქმის 250 მანეთი. ეს კარგი მაჩვენებელია.

მაგრამ გაერთიანებაში აქვთ სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემებიც. ბევრი რამ არის გასაკეთებელი გეოლოგიურ-სადაზვერვო და საბურღ სამუშაოთა ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და ამ საფუძველზე ნავთობისა და გაზის ახალი პერსპექტიული საბადოების აღმოჩენისათვის. ჯერ კიდევ არ არის დამყარებული ჯეროვანი წესრიგი ძველი ჭაბურღილების გამოყენებაში. შეუწყნარებლად ნელი ტემპით შენდება საწარმოო ბაზები. რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციები თავს ვერართმევენ ჩვენი ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, რის გამოც საბურღი საწარმოები ხშირად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ძალზე დიდხანს არ წყდებოდა „საქნავთობის" საწარმოებში შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდით — ერთიანი განწესითა და სამეურნეო ანგარიშით მომუშავე ბრიგადების ორგანიზაციის საკითხი.

— როგორ ართმევენ თავს საბინაო პრობლემას? — ვეკითხებით გენერალურ დირექტორს.

— ამიტომაც ეწოდება საბინაო პრობლემა, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება! ბევრ საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ. ყოველწლიურად ამისათვის 4,5 მილიონ მანეთს ვხარჯავთ. ახლა უკვე მივაღწიეთ ისეთ მიჯნას, როცა შეგვიძლია ბინით დავაკმაყოფილოთ ის მუშები და სპეციალისტები, რომლებმაც ჩვენთან სულ ცოტა სამი წელიწადი მაინც იმუშავეს.

მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე თბილისში, 26 კომისრის სახელობის რაიონში, აეროპორტისაკენ მიმავალ ავტოსტრადასთან აშენდება ქართველ მენავთობეთა საცხოვრებელი მიკრორაიონი. უკვე დამტკიცებულია მისი პროექტი. ეს იქნება საცხოვრებელი კორპუსების თანამედროვე ანსამბლი: აშენდება მაღაზიები, სასადილო, კაფე, აფთიაქი, სკოლა, საბავშვო ბაღი, სპორტული მოედნები და სხვა ობიექტები. უბნის მშენებლობას ხუთწლედის მანძილზე 25 მილიონ მანეთს მოვახმართ.

... რეპორტაჟს რომ ვამთავრებდით, სამგორის მიწაზე ბინდი ჩამოწვა. ნავთობის კოშკებზე ელექტრონათურები აკიაფდა და ისინი ზღვაში ღამით მიმავალ ხომალდებს მოგვაგონებდა. ერთ კოშკზე მაღლა ცაში წითელი ვარსკვლავი აკაშკაშდა. აი ასე, ყოველ საღამოს ინთება იგი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის — ფარნაოზ ჭრიკიშვილის მბურღავთა ბრიგადის პატივსაცემად.

მენავთობეები განაგრძობენ შრომითს ვახტს.

ვლ. გინზბურგი,

„კომუნისტის" სპეც. კორ. სამგორი.

...თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნავთობისა და მომყოლი გაზის მოპოვების დიდი ზრდა, რომლებიც დღეს საგრძნობ ზემოქმედებას ახდენენ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე, კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის ეკონომიკის ამ შედარებით ახალ დარგში ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება გეგმები და ვალდებულებანი. მაგრამ აქაც გვესახება დიდი პერსპექტივები, ამიტომა ვერაფრით ვერ დავჯერდებით მიღწეულს.

ე. შევარდნაძე.

1981

აღმასვლის ციფრები

● მოსავლისათვის არახელსაყრელ ამინდებში 170,1 ათასი ტონა მარცვლეული დაამზადეს და ამით გეგმა გადამეტებით შეასრულეს მემინდვრეებმა.

● რესპუბლიკის მებოსტნეებმა დაამზადეს 384,2 ათასი ტონა ბოსტნეული. გეგმის რეალიზაციაში თავი ისახელეს მეკარტოფილეებმაც, რომლებმაც სახელმწიფოს 174,8 ათასი ტონა კარტოფილი მიჰყიდეს.

ჩვენი გარჯა კვლავაც გვასახელებს

რეკორდულ მოსავალს მივიღებთ

ახლა, როცა ვფიქრობთ, რომ შარშანდელი ჩაის ალოობა ისტორიას ჩაბარდა, როცა ჩაის პლანტაციებში ეს-ეს არის დავამთავრეთ ზამთრის სამუშაოები და გაზაფხულისათვის ვემზადებით, სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ: საქართველოს რესპუბლიკა სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით.

ეს გამარჯვება გულს უსაზღვრო სიამაყით გვივსებს, რადგან მის მოპოვებაში ჩვენმა კოლმეურნეობამ, მთელმა ჩვენმა რაიონმა ღირსეული წვლილი შეიტანეს. ეს გამარჯვება საამაყოა მით უფრო, რომ იგი სოფლის მშრომელებმა უამინდობის პირობებში მოვიპოვეთ.

მეჩაიეებისათვის კი ნიშანდობლივი და სასიხარულოა, რომ წარმატებებისაკენ გზის გაკვლევა ტრადიციულად პირველებს ჩვენ გვხვდა წილად და რეკორდული მოსავალი — 525 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მივყიდეთ სახელმწიფოს.

ამ რეკორდული მიჯნის მიღწევაში ჩვენი კოლმეურნეობის წვლილს განსაზღვრავს ის, რომ შარშან ჰექტარზე 12-14 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ, რაც რესპუბლიკაში ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება. კოლმეურნეობამ ვალდებულებით ნაკისრი 2.300 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 2730 ტონა ფოთოლი. სასახელოდ იშრომეს მეციტრუსეებიც. მათ გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1900 ტონის ნაცვლად 2913 ტონა ციტრუსი მოკრიფეს. ვალში არც მეცხოველეები დარჩნენ. მათ თითოეულ ძროხაზე საშუალოდ 2390 კილოგრამი რძე მოიწველეს. მოწინავე მწველავების შესაბამისი მაჩვენებლები 3000 კილოგრამს აღემატება. გაიზარდა სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. ნაცვლად 27-ისა, მივიღ[...]ეთ 29 ცენტნერი; სოფელში [...] კიცედ მოიკიდა ფეხი კოოპ[...]რებმა. 428 კომლიდან ამ საქმ[...] ჩაბმულია 405 ოჯახი, მათ [...] შან სახელმწიფოს 40 ტონა ხ[...]რცი ჩააბარეს.

რაც შეეხება მახარაძის რა[...]ონის ჩაის პლანტაციების მშ[...]მელთა წვლილს რესპუბლიკ[...] საერთო წარმატებაში, მის მო[...]ულობაზე მეტყველებს ის, რო[...] შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა სა[...]გმოზე 18.930 ტონით მეტი ჩა[...] ფოთოლი დაამზადეს და ამი[...] წინა წლის დონეს 5 ათასი ტ[...]ნით გადააჭარბეს.

ამ წარმატებებზე როცა ვლ[...] პარაკობთ, არ გვავიწყდება ჩვ[...]ნი გადაუდებელი ამოცანებ[...] უწინარეს ყოვლისა, გვაფიქრ[...] ნედლეულის ხარისხის გაუმჯ[...] ესება, რაც დღეს მთელი რე[...] უბლიკის მეჩაიეთა ყურადღე[...] ცენტრშია. ამასთან დაკავშირ[...] ბით დღენადაც გვახსოვს თბ[...] ლისში, საბჭოთა საქართველ[...] საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ბრეჟნევის მითითება, რომე[...] შესასრულებლად ძალასა და ე[...] ერგიას არ ვიშურებთ. ისევე რო[...] გორც მთელ მახარაძის რაიონ[...] ჩვენს კოლმეურნეობაშიც დაუ[...] რგეთ პროდუქციის ხარისხის მ[...] რთვის კომპლექსური სისტ[...] წლეულს ჩვენი საბრიგადო [...] ოცანაა მოვკრიფოთ 3.800 ტ[...] ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, [...] მლის 72 პროცენტი პირველი [...] რისხის იქნება.

კონჭკათელები წლეულს რე[...] ორდულ მოსავალს მივიღ[...] მკვეთრად გავზრდით სოფ[...] მეურნეობის პროდუქტების [...] ხვევს და ამით ღირსეულ წვლ[...] შევიტანთ რესპუბლიკის სას[...] სათო პროგრამის განხორციე[...] ბაში.

ქ. ჩანჩიბაძ[...],

მახარაძის რაიონის კონ[...] თის კოლმეურნეობის თა[...] ჯდომარე, შრომის წით[...] დროშისა და საპატიო [...] ნის ორდენოსან[...]

ვადიდებთ ვაზს

შარშან უხვად მოირთვლიანეს ჩუმლაყელებმა. მაგრამ ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, არ აჩქარებულა და ვენახი არ დაუტოვებია. ბრიგადისათვის ალოობა გრძელდება: ჩვენ უნდა ამოვძირკვოთ დრომოჭმული ათი ჰექტარი ვენახი და მის ადგილას ახალი ჩავყაროთ. მაგრამ სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, ჩვენ ვენახთან გამოთხოვების რიტუალი უნდა შევასრულოთ, რითაც საბოლოო პატივს მივაგებთ მას. ასეთი წესია ჩვენთან კახეთში — კლასიკური მევენახეობისა და მეღვინეობის მხარეში.

ათი ჰექტარი ნაკვეთი წვეთია რესპუბლიკის ამ რეგიონის ათიათასობით ჰექტარ ზვრებში. მაგრამ ყოველი ძირი ვაზი ძვირფასია ჩვენთვის: ოცდაათი წელი ვუვლიდით მას, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაზი უხვად იძლეოდა ქარვისფერ მტევნებს. და ამ, უაღრესად რთული ამინდის პირობებით მეტად რთულ წელსაც კი თითქმის 800 ცენტნერი ყურძენი მოვიწიეთ ამ ვენახზე. ეს ცუდი მაჩვენებელი როდია, თუ არ ჩავთვლით ბრიგადის მიერ სხვა, უფრო ახალგაზრდა ნაკვეთებში ჰექტარზე მოწეულ 100-120 ცენტნერ მოსავალს. და მაინც, მიუხედავად [...]სა, დადგა ვენახის შეცვლის დ[...]

ჩვენ ამ ნაკვეთზე მოკრეფ[...] ყურძნიდან დაწურული ღვ[...] მოვასხურეთ მიწას და წამ[...] ყეთ თვით სიცოცხლესავით [...] ლი სიმღერა: „შენ ხარ ვენახ[...] ვაზის დაკორძილი ძირები ა[...] თხარეთ და მათ ადგილზე [...] იერი, ერთი წლის ნერგები [...] რგეთ: ვენახის სიცოცხლე [...] ძლდება!

საქართველო, რომელსაც [...] მაღალგანვითარებული მევენ[...] ობის რესპუბლიკაც უწოდ[...] კიდევ უფრო მშვენიერი გა[...] ბა ხუთწლედის დამლევისა[...] სკკპ XXVI ყრილობის გადაწ[...] ტილებებით მან 1990 წლისათ[...] სამშობლოს უნდა მისცეს 1[...] ათასი ტონა ყურძენი. ამისა[...] კი საჭიროა გაშენდეს სულ [...] ცა 30 ათასი ჰექტარი ახალი [...] ნახი, ძირითადად, ცახეთში. [...] ჩვენც ბევრს გვავალებს და [...] იტომ პირნათლად ვიცავთ [...] ის მოვლის ძველ, მაგრამ გა[...] ლებულ წესს.

ქ. ბურდიაშვილ[...],

გურჯაანის რაიონის ჩუმ[...] ყის კოლმეურნეობის ბრ[...] ადირი, სოციალისტუ[...] შრომის გმირ[...]

1981

აღმასვლის ციფრები

● **სამრეწველო** პროდუქციის საერთო მოცულობის წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. წარმოების მატებამ 1980 წელთან შედარებით შეადგინა 5,1 პროცენტი.

● **შრომის** ნაყოფიერება გაიზარდა 3,7 პროცენტით, ამის შედეგად მიღებულია წარმოების მატების დაახლოებით სამი მეოთხედი.

● **საზოგადოებრივი** შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად დაიზოგა 80,5 ათასი კაცის შრომა.

● **ეროვნული** შემოსავალი გაიზარდა 470 მილიონი მანეთით და გადააჭარბა 8500 მილიონ მანეთს (ფაქტობრივი ფასებით).

● **მრეწველობის** პროდუქცია 1980 წელთან შედარებით გაიზარდა 460 მილიონი მანეთით და მიაღწია 9475 მილიონ მანეთს (საწარმოთა საბითუმო ფასებით 1975 წლის 1 იანვრისათვის).

● **ხარისხის** უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში შეადგინა 13,5 პროცენტი.

● **წლის** დამლევისათვის 2.058 ნაწარმს ჰქონდა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ათვისებულია და უკვე სერიულად გამოდის 163 დასახელების ახალი სახეობათა მრეწველობის პროდუქცია.

● **საერთო** სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა 1980 წელთან შედარებით გაიზარდა შესაბამისად 9,4 და 8,2 პროცენტით.

● **რკინიგზის** ტრანსპორტზე შესრულდა ტვირთზიდვის გეგმა. გაიზარდა ლოკომოტივის მწარმოებლობა, სატვირთო ვაგონების მოძრაობის საუზრო სიჩქარე. რამდენადმე შემცირდა ვაგონების მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს.

● **კავშირგაბმულობის** საწარმოებმა შეასრულეს პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა, 1980 წელთან შედარებით პროდუქციის მოცულობა 5,5 პროცენტით გაიზარდა.

● **1981 წელს** მწყობრში ჩადგა მთელი რიგი ახალი დიდი საწარმოები. ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, ზუგდიდისა და წალენჯიხის ჩაის ფაბრიკები, ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხანა და სხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის" საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საოლქო გაზეთის „სოვეტსკაია ადჟარიას" საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საოლქო გაზეთი „სოვეტსკაია ადჟარია" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. შ. ი. ქურიძის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და „საბჭოთა აჭარის" პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორი ამხ. შოთა ისიდორეს ძე ქურიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. პ. მარლანიძის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და „სოვეტსკაია ადჟარიას" პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე მარლანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 თებერვალი.

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭება

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობებს მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა": შეკოიანს სერიკ აკობის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა": უმიკიანს ჰაიკ არკადის ძეს — რეჟისორს, ჩალტიკიანს რამულ კარაპეტის ძეს — მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა": კლოჯიანს (ხოსიანს) იოსებ ნიკოლოზის ძეს — მსახიობს, პირუმოვას ლამარა მარქარის ასულს — მსახიობს, ხანოხიანს ავეტიკ ერვანდის ძეს — მსახიობს, ჩოფიკიანს ქირაირ გარეგინის ძეს — მსახიობს.

აყალიბებენ სასურსათო პროგრამას

კონვეიერი: ბოსტანი-დახლი — როგორი უნდა იყოს?

თვალს ახარებს მოხდენილად გაფორმებულ ქილებში კომპოტები, ჯემები, მურაბები. ლამაზად ჩაუმწკრივებიათ ისინი მსახიობის სახლში მოწყობილ გამოფენაზე, სადაც გაიმართა საქართველოს ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. დარგი ამ პროდუქციას ამზადებს 52 საწარმოში, მაგრამ მაღაზიების დახლებზე იგი იშვიათობაა. რით არის ეს გამოწვეული? 1981 წელს სამინისტროს ქარხნებმა მომხმარებელს დააკლეს 82 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი. პროდუქციის წარმოების მოცულობა 1980 წელთან შედარებით 18 პროცენტით შემცირდა.

ამის შესახებ კრებაზე შეშფოთებით ილაპარაკეს მომხსენებელმა — ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრმა თ. ჯაბადარმა და კამათის მონაწილეებმა. — ეს მოხდა არა მარტო საჭირო ასორტიმენტის ნედლეულის ნაკლებობის გამო, — ხაზგასმით აღნიშნეს მათ, — არამედ მისი არარაციონალური გამოყენების, ფინანსური და შრომის დისციპლინის დაბალი დონის შედეგადაც. გარდა ამისა, 150 ათასი ტონა ხილი და ბოსტნეული დააკლდა ქარხნებს დამამზადებელთა მიზეზით.

კრების მონაწილეებმა, რომლებმაც შეაჯამეს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და განიხილეს 1982 წლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებების, იმ მითითებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, აღნიშნეს, რომ დარგი ჯერ კიდევ ვალშია რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წინაშე.

1981 წელს სამინისტროს კოლექტივებმა 1980 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება: კარტოფილისა — 8 ათასი ტონით და მეტად, ბოსტნეულისა 9 ათასი ტონით. კარგად იშრომეს დამამზადებლებმა: მათ შეასრულეს დავალება პროდუქციის თითქმის ყველა ძირითადი სახეობის მიხედვით. მაგრამ ეს წარმატებები დაჩრდილა მთელმა რიგმა ხარვეზებმა: დამამზადებლებმა ვერ შეასრულეს დავალება ასორტიმენტის მიხედვით. მაგალითად, მომხმარებლებს დააკლეს 2400 ტონა ნიორი, 1.300 ტონა სტაფილო, 38 ათასი ტონა პამიდორი და სუფრის მწვანილი. დიდია პროდუქციის დანაკარგები მისი მოყვანის, აღებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაში. მაგალითად, მცენარეთა თესვის, რგვისა და მოვლის აგროწესების დარღვევის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა ბოსტნეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა ბოლნისის რაიონის ფახრალოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ თითოეულ ჰექტარზე დაგეგმილი 122 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 96 ცენტნერზე ცოტა მეტი საადრეო კარტოფილი და ზარალმა 750 ტონა შეადგინა. დიდი დანაკარგებია ხახვისა და საკვები ბალახების წარმოებაში გარდაბნის რაიონის ახალსამგორის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

სერიოზული დარღვევებია გამოვლენილი ხილბოსტნეულის ვაჭრობის ორგანიზაციაში. მაღაზიები კვლავ იღებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას. ბევრად უნდა გაუმჯობესდეს მყიდველთა მომსახურების კულტურა. დიდი ნაკლოვანებებია საუწყებო ავტოტრანსპორტის მუშაობაში. საკმარისად ეფექტიანად არ იყენებენ ტექნოლოგიურ მოწყობილობას. დიდია კადრების დენადობა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სპეციალისტთა, მართვის საშუალო რგოლის მუშაკთა, მექანიზატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მიღებულ რეზოლუციაში დასახულია დარგის საწარმოთა მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

აქტივის კრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და მიმართვა დარგის ყველა მუშაკისადმი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი.

(საქინფორმი).

უმაღლეს პარტიულ სკოლებში

მსმენელთა მორიგი მიღების შესახებ

გამოცხადდა მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და ოლქთაშორის უმაღლეს პარტიულ სკოლებში. უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიღება იწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების რეკომენდაციებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღებიან სკკპ წევრები პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და იდეოლოგიურ მუშაკთაგან:

ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — 40 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონენი.

ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — 35 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონენი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა მიმდინარე წლის არაუგვიანეს 1 მაისისა უნდა წარადგინონ უმაღლეს პარტიულ სკოლებში სასწავლებლად რეკომენდებულ მუშაკებზე ბიუროს დადგენილების ამონაწერი, მათი დახასიათება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

მიმდინარე წლის 20 მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებულ პირებს მიიწვევენ გასაუბრებაზე უმაღლეს პარტიულ სკოლებში. ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელთ გამოიძახებენ უმაღლეს პარტიულ სკოლებში მისაღები გამოცდების — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, რუსული ენის (თხზულება) და სსრ კავშირის ისტორიის (საშუალო სკოლის მოცულობით) ჩასაბარებლად. მომზადებისა და მისაღები გამოცდების ჩაბარებისათვის სასწავლებლად რეკომენდებულთ მიეცემათ ორკვირიანი შვებულება მუშაობის ადგილზე ხელფასის შენახვით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში სწავლა დაიწყება 1982 წლის 1 სექტემბერს.

● ●

დიდი მხედართმთავრის პატივსაცემად

მოსკოვში, კომუნის მოედანზე გაიხსნა ა. ვ. სუვოროვის ძეგლი.

ამ მოვლენას მიეძღვნა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსკოველი მშრომელები.

როცა ძეგლს თეთრი საბურველი ჩამოშორდა, შეკრებილთა თვალწინ წარდგა გრანიტის კვარცხლბეკზე აღმართული ბრინჯაოს მონუმენტი. მისი ავტორები არიან რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი ო. კომოვი და რუსეთის სფსრ დამსახურებული არქიტექტორი მ. ნესტეროვი.

დიდი რუსი სარდლის ხსოვნას მხედრული პატივი მიაგეს დედაქალაქის გარნიზონის მეომრებმა, სუვოროველებმა, რომლებმაც საზეიმო მარშით ჩაიარეს კომუნის მოედანზე. (საქდესი).

● ●

დაე, მტკიცდებოდეს მეგობრობა!

კრასნოდარი. ყუბანში დამთავრდა ქართული ლიტერატურის დღეები. მოძმე რესპუბლიკის წარმოგზავნილები გაეცნენ, თუ როგორ არის დაყენებული სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის საქმე საკავშირო ჯანმრთელობის კერაში — სოჭში. შემდეგ დაესწრნენ ხოსტის ახლოს მდებარე სოფელ პლასტუნკის ლენინის სახალხო ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნას.

პლასტუნკა მდინარის პირას ლამაზ ადგილას მდებარე პატარა სოფელია ორი ათასი მცხოვრებით. მის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ისინი მუშაობენ გაერთიანება „კრასნოდარის ჩაის" პლანტაციებში, საბჭოთა მეურნეობაში ბოსტნეული და ხილი მოჰყავთ დამსვენებლებისათვის.

სოფლის კლუბში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც თავის ფონდში ათასზე მეტი ტომი სხვადასხვა ლიტერატურა აქვს.

— ბიბლიოთეკის გახსნა, — თქვა პარტიის ხოსტის რაიკომის მდივანმა ნ. დ. კარნაუხოვამ, — წიგნის მოყვარულთა და სოფლის ყველა მცხოვრების დღესასწაულია. იგი დასამახსოვრებელია იმითაც, რომ ჩვენთან სტუმრად არიან ძვირფასი მეგობრები — საქართველოს ლიტერატორები.

ცნობილმა პოეტმა ოთარ ჭელიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ყუბანელებს კრასნოდარის მხარეში მოწყობილი ქართული წიგნის ფესტივალისათვის.

საქართველოს დელეგაციის გამომგზავრების წინ საქინფორმის სპეციალურმა კორესპონდენტმა მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა ოთარ ჭელიძეს:

— მადლობა ყუბანელებს მხვნელ-მთესველთა ამ მხარეში ქართული წიგნის დღესასწაულისათვის, — თქვა მან. — გამართულმა შეხვედრებმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდია ინტერესი ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი.

საქდესის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სულ უფრო შორს მიდის სხვადასხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის არსენალების ზრდის საშიში გზით.

გასული წლის აგვისტოში ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ იწყება ნეიტრონული საბრძოლო მუხტების — ბირთვული იარაღის იმ განსაკუთრებით არაადამიანური ნაირსახეობის ფართო მასშტაბით წარმოება, რომლის გამოყენების შესაძლებლობის თვით აზრიც კი ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის გულისწყრომას იწვევს.

ამის შემდეგ, 1981 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების განვითარების უპრეცედენტო გაქანების კომპლექსური გეგმა, რომელიც მოიცავს სახმელეთო და საზღვაო ბაზირების ახალი თაობის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, მძიმე ბომბდამშენების, დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტების შექმნასა და განლაგებას.

ამ რამდენიმე დღის წინათ კი პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების „ხელახალი ქიმიური შეიარაღების" მრავალმილიარდიანი პროგრამა. თურმე ამერიკის მთავრობას უკვე ეცოტავება შეერთებული შტატების განკარგულებაში არსებული მომწამვლელი ნივთიერებების — ადამიანთა მასობრივი ჟლეტის ამ კიდევ ერთი შემზარავი საშუალების ვეებერთელა მარაგი. ახლა განზრახული აქვთ ამერიკის შეიარაღებული ძალები აღჭურვონ რამდენიმე მილიონი საბრძოლო მუხტით, რომლებიც ახალი, კიდევ უფრო მომაკვდინებელი ნერვულ-დამბლადამცემი ნაზავით არის დატენილი (ეგრეთ წოდებული ბინარული მუხტები).

საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებათა დაჩქარებული განვითარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება აშკარად მოწმობს, თუ რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წლების მანძილზე ასე ჯიუტად არიდებს თავს საერთაშორისო კონვენციის დადებას, რომელიც აკრძალავდა ქიმიურ იარაღს.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ვაშინგტონმა ამის თაობაზე საბჭოთა კავშირთან წინათ მიმდინარე მოლაპარაკების განგრძობაზე უარი თქვა იმის შიშით, ვაითუ მოლაპარაკების პროცესში დასახულ მორიგების მიღწევის პერსპექტივას ხელი შეეშალა ამერიკის შეერთებული შტატების „ხელახალი ქიმიური შეიარაღების" გეგმის რეალიზაციისათვის, რომელიც, ეტყობა, კარგა ხნის წინათ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

უდავოდ არც ის მრავლისმეტყველი ფაქტი იყო შემთხვევითი, რომ შეერთებული შტატები ერთადერთი სახელმწიფო იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ 157 ქვეყანას შორის, რომელმაც წინააღმდეგ მისცა ხმა გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, ყველა სახელმწიფოს რომ მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ ახალ სახეობათა ქიმიური იარაღის წარმოების, გაფართოებისა და იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე განლაგებისაგან, სადაც იგი ამჟამად არ მოიპოვება.

აშკარად იმ მიზნით, რომ წინასწარ მოემზადებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ახალი ქიმიური იარაღის ფართო წარმოების შესახებ თავისი გადაწყვეტილების გამოცხადებისათვის და როგორმე გაემართლებინა ეს გადაწყვეტილება, ვაშინგტონმა იხმარა თავისი საყვარელი ხერხი — მიმართა ცილისმწამებლურ მტკიცებებს, ვითომ საბჭოთა კავშირმა გამოიყენა ან ეს-ეს არის აპირებს გამოიყენოს მომწამვლელი ნივთიერებანი ავღანეთში თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ჯუნგლებში.

ეს ბინძური ნაყალბევი ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს საბჭოთა კავშირის პატიოსან და თანამიმდევრულ გეზს, რომელიც, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ერთ-ერთი პირველი შეუერთდა ჟენევის 1925 წლის ოქმს ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირი ილვწოდა და ილვწის იმისათვის, რომ საერთოდ კანონგარეშე გამოცხადდეს ომის წარმოების ეს დანაშაულებრივი საშუალება, მოისპოს მთელი მისი მარაგი. და მას არასდროს და არსად არ უხმარია საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებანი.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიოს არ დავიწყებია, როგორ დაატეხა თავს ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიის დროს ათიათასობით ტონა ქიმიური ნივთიერებანი ვიეტნამს, ლაოსსა და კამპუჩიას, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა და რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ამ რაიონის ბუნებას. კარგად არის ცნობილი იმ მომწამვლელ ნივთიერებათა წარმოშობაც, რომლებსაც ბანდიტთა შენაერთები იყენებენ ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, — ეს ნივთიერებანი ამერიკის შეერთებულ შტატებშია დამზადებული.

იმ იარაღის ბარბაროსულ ხასიათს, რომლის მოდერნიზაციასა და გაძლიერებაზე მუშაობს ახლა ვაშინგტონი, ზედმიწევნით შეესაბამება თავისი მზაკვრობით ამ იარაღის გამოყენების გეგმები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მალავენ, რომ მათი ჩანაფიქრით ქიმიური ომი გაჩაღდება ევროპისა და სხვა კონტინენტების მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. სწორედ ამ დანაშაულებრივ მიზანს ემსახურება გეგმებიც, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში განიხილავენ იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ქიმიური საბრძოლო მუხტებით აღჭურვონ ფრთოსანი რაკეტები, საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები, რომელთა ფართო განლაგებასაც აპირებენ ევროპის ქვეყნებში ამერიკის მოწინავე ბაზირების საშუალებათა შემადგენლობაში.

1981 წლის 15 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გამოსვლისას პენტაგონის წარმომადგენელმა გულახდილად აღიარა, რომ უახლესი მომწამვლელი ნივთიერებებით ამერიკის არმიის აღჭურვის მიზანია თავისუფლად აწარმოონ დიდი მასშტაბის ქიმიური ომი ევროპაში. აი კიდევ ერთი [illegible] ვაშინგტონის „ატლანტიკური სოლიდარობისა" თავისი მოკავშირეების მიმართ!

მთელი კონტინენტების გაზის კამერებად გადაქცევის გეგმები, რომლებსაც უმაგალითო ცინიკურობით ადგენენ, ერთხელ კიდევ მოწმობს, რა ფასი ჰქონია ვაშინგტონის თვალთმაქცურ განცხადებებს „ადამიანის უფლებათა" შესახებ.

არ დაუშვან ახალი შემზარავი დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ — ეს მსოფლიოს ყველა ხალხთა, ყველა პატიოსან ადამიანთა უშუალო მოვალეობაა.

აგრესორს, რა იარაღიც უნდა იხმაროს ომის გასაჩაღებლად, — ბირთვული, ნეიტრონული, ქიმიური თუ სხვაგვარი, — შურისგება არ ასცდება.

შეიარაღების, მათ შორის ქიმიური იარაღის დაუოკებელი დაგროვება ვერაფერ სარგებელს მოუტანს მის ინიციატორებს, ვერ განამტკიცებს ვერავის უშიშროებას. საერთაშორისო უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მოლაპარაკების გზით, ისეთი გადაწყვეტების ძიების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ განიარაღების რეალურ ღონისძიებათა განხორციელებას, კერძოდ, ქიმიური იარაღის აკრძალვას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ილვწის ამისათვის!

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საზღვარგარეთის პრესა ვრცლად ბეჭდავს და განმარტავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის პასუხს გაზეთ „ასაჰის" რედაქციის კითხვებზე (იაპონია). პრესა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პრინციპულობასა და თანამიმდევრულობას, მის მისწრაფებას მოლაპარაკების გზით გადაწყდეს სადავო საერთაშორისო პრობლემები, განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

მშვიდობის ურყევი ნება

საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამონათქვამები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სსრ კავშირისათვის ყველაზე გადაუდებელი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, წერს გაზეთ „ასაჰის" მთავარი რედაქტორი ს. ჰატა. ნ. ა. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის თანამშრომლობის შედეგები ჯერ ვერ შეესაბამება ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონეს, რომ იაპონიისა და სსრ კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ტემპი შესამჩნევად ჩამორჩება დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში მიღწეულ შედეგებს. მან გამოთქვა სინანული იაპონიის ოფიციალურ ხელისუფალთა მოქმედების გამო, რომლებიც „ჩრდილოეთის ტერიტორიების" დაბრუნების საბაბით მონაწილეობენ სსრ კავშირის მიმართ ნაირნაირი არამეგობრული კამპანიების გაჩაღებაში.

გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობაში არ არსებობს ისეთი თემა, როგორიც არის ვითომ გადაუწყვეტელი „ტერიტორიული საკითხი".

სსრ კავშირი მხარს უჭერს სხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თანაბარ, სტაბილურ ურთიერთობას, პრობლემების გადაწყვეტას მოლაპარაკების, აზრთა გაზიარებისა და დიალოგის გზით, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი". (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ეს უწინარეს ყოვლისა ეხება უშუალოდ ომისა და მშვიდობის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. ხოლო რაც შეეხება ვაშინგტონის ცდებს თავის სასარგებლოდ დაარღვიოს არსებული სამხედრო წონასწორობა, საბჭოთა კავშირში ასეთ ცდებს სრულიად საფუძვლიანად უპერსპექტივო ცდებად მიიჩნევენ.

ვაშინგტონის მისწრაფებას დიპლომატიურ ურთიერთობაში დანერგოს ძალისა და დიქტატის ენა, მოსკოვი კვლავ უპირისპირებს მოლაპარაკებისა და მშვიდობის ენას, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო".

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ", რომელიც განმარტავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ინტერვიუს, წერს: „სულ უფრო მეტი პოლონელი საკუთარი გამოცდილებით რწმუნდება, რომ ამერიკის ადმინისტრაციასა და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოს ოფიციალურ წრეებს თვალთმაქცური პოზიცია უკავიათ პოლონეთის საკითხში. დასავლეთის ის წრეები, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც თავს მოგვაჩვენებენ პოლონელი ხალხის „დამცველებად", სინამდვილეში ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ვითარების მოწესრიგებას ჩვენს ქვეყანაში".

დასავლეთ ბერლინის „ვარჰაიტი" წერს, რომ როგორც თავის ინტერვიუში აღნიშნა ნ. ა. ტიხონოვმა, დასავლეთის გარკვეულმა წრეებმა პოლონეთის პრობლემა აირჩიეს საბაბად, რათა საერთაშორისო ასპარეზზე განახორციელონ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უპირატესობის უზრუნველყოფის იმპერიალისტური პოლიტიკა, ზეგავლენისა და სანქციების პოლიტიკა, მათ შორის საკუთარ ბანაკშიც.

ჟენევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არ იწვევს ოპტიმიზმს მოსკოვში, წერს დასავლეთ გერმანიის „შტუტგარტერ ცაიტუნგი". „ასაჰისათვის" მიცემულ ინტერვიუში ნ. ა. ტიხონოვმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული ეგრეთ წოდებული „ნულოვანი" ვარიანტი, რომელსაც ნულოვანი მხოლოდ სახელწოდებით ეთქმის, სინამდვილეში კი მიზნად ისახავს ან ნატოს ეგრეთ წოდებული „დამატებითი შეიარაღების" გეგმის განხორციელებას, ან საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას.

„ნ. ა. ტიხონოვმა სასტიკად გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა", — იუწყება „ვაშინგტონ პოსტი". მან განაცხადა, რომ ახლა ვაშინგტონში აშკარა უპირატესობას ანიჭებენ გაძლიერებულ სამხედრო მზადებას, და ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოკავშირეებსაც ამისკენ უბიძგებს.

კამპუჩიის პროტესტი

ჟენევა. კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სესიას უკანონოდ ესწრებიან ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული კამპუჩიის" წარმომადგენლები. ეს ნათქვამია აქ დოკუმენტად გავრცელებულ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ხუნ სენის წერილში.

ის, რომ სესიის მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ დამნაშავეებს, რომლებსაც ბრალი ედებათ გენოციდში, ადამიანის ძირითად უფლებათა სისტემატურ და უხეშ დარღვევებში და რომლებსაც, მსჯავრი დადო კამპუჩიის სახალხო სასამართლომ, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდება, ხელს უტეხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ადამიანის უფლებათა კომისიას.

ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული კამპუჩიის" მმართველები კამპუჩიელმა ხალხმა 1979 წლის 7 იანვარს დაამხო. ამჟამად, ნათქვამია წერილში, არსებობს მხოლოდ დამნაშავეთა ბანდა, რომელიც სამხედრო ოპერაციებს აწყობს და მოსახლეობას შიშის ზარს სცემს კამპუჩია-ტაილანდის საზღვრის გასწვრივ, რასაც ხელს უწყობს ტაილანდში შექმნილი კამპუჩიელ კონტრრევოლუციონერთა ბაზები, აგრეთვე სხვადასხვა იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდება, პეკინის ხელმძღვანელობა რომ ახორციელებს.

არარსებული „დემოკრატიული კამპუჩიის" წარმომადგენლები, რომლებსაც არც ტერიტორია აქვთ, არც მოსახლეობა ჰყავთ, მხოლოდ დამნაშავეთა ჯგუფია, რომელსაც ხელმძღვანელობენ ექსპანსიონისტები და იმპერიალისტები, აგრეთვე მათი დამქაშები, რომლებიც ცდილობენ კამპუჩიელ ხალხს კვლავ მოახვიონ თავს გენოციდის ბარბაროსული რეჟიმი, აღნიშნულია დოკუმენტში.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი. აქ გამოცხადდა ფინეთის რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობა. მას სათავეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი კალევი სორსა (ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია). მისი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ცენტრის პარტიის, ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირისა და შვედთა სახალხო პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე ერთი უპარტიო მინისტრი.

პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ფინანსთა მინისტრის პოსტი დაიკავა ახტი პეკალამ (ცენტრის პარტია). საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა პერ სტენბეკი (შვედთა სახალხო პარტია), თავდაცვის მინისტრად — იუხანი საუკონენი (ცენტრის პარტია).

გამოცხადდა აგრეთვე მთავრობის საქმიანობის პროგრამა. მასში აღნიშნულია, რომ „პაასიკივი-კეკონენის ხაზის" შესაბამისად მთავრობა განახორციელებს აქტიურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის საფუძველია 1948 წელს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. მთავრობა კვლავაც განავითარებს ურთიერთსასარგებლო კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ტრადიციულ კავშირურთიერთობას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

მთავრობას განზრახული აქვს იმოქმედოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ მოწონებული პრინციპების განხორციელების შესაბამისად.

წინდაუხედავი „სანქციები"

ამერიკის სავაჭრო პალატის წერილი პრეზიდენტ რ. რეიგანს

ვაშინგტონი. თვალსაჩინო ამერიკელმა მრეწველმა, „პეპსიკოს" კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. კენდალმა გამოაცხადა, რომ ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ რ. რეიგანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს პოლონეთის ამბების საბაბით სსრ კავშირის წინააღმდეგ შემდგომი სავაჭრო-ეკონომიკური „სანქციების" განხორციელების გეგმების წინააღმდეგ. „ვერავინ ვერ დაამტკიცებს, — განაცხადა დ. კენდალმა, რომ სანქციებს ვინმეს წინააღმდეგ რაიმე წარმატება ჰქონდეს. თუ შეერთებული შტატები ამ სანქციებს დააწესებს, ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი იმ ტოტს მოჭრის, რომელზეც თვითონ ზის. სანქციები რომ ეფექტიანი იყოს, საჭიროა მოკავშირეთა 100 პროცენტის მხარდაჭერა. ჩვენ კი ეს არ გვაქვს".

მან „არამართლზომიერი და საშიში" უწოდა ადმინისტრაციის ცდებს გაავრცელოს „სანქციები" დასავლეთ ევროპაში არსებული ამერიკული კომპანიების ფილიალებთან, აგრეთვე დასავლეთ ევროპის იმ კორპორაციებთან სსრ კავშირის ურთიერთხელსაყრელ ვაჭრობაზე, რომლებიც ამერიკული ლიცენზიებით ამზადებენ საქონელს. ასეთი მოქმედება, თქვა მან, არყევს ამერიკის შეერთებული შტატების როგორც საიმედო სავაჭრო პარტნიორის რეპუტაციას და დიდ დაბრკოლებებს უქმნის საერთაშორისო ბაზარზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, აღნიშნა დ. კენდალმა, აგრეთვე „თავისი გრძელი ცხვირი არ უნდა ჩაყოს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში და აიძულოს ისინი შემოიღონ ამერიკული სანქციები".

დ. კენდალმა მხარი დაუჭირა დაძაბულობის შენელების კლიმატის აღორძინებასა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება დღევანდელი ზურბზე

19 თებერვალი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

პარლამენტის მოწოდება

ჰააგა. ჰოლანდიის პარლამენტმა გაილაშქრა ქვეყნის ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის განლაგების, აგრეთვე ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების მიერ მისი გამოყენების წინააღმდეგ. ეს ნათქვამია ჰოლანდიის პარლამენტის მეორე პალატის მიერ მოწონებულ რეზოლუციაში.

პარლამენტმა მოუწოდა მთავრობას განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე აგრეთვე არ განალაგონ ქიმიური იარაღი.

ცვლილებები მთავრობაში

სოლსბერი. ზიმბაბვეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნული კავშირის პატრიოტული ფრონტის პარტიის პრეზიდენტმა რ. მუგაბემ აქ გამოაცხადა, რომ კოალიციური მთავრობის რიგებიდან გამოყვანილია ქვეყნის პატრიოტული ფრონტის პარტიის წევრთა ჯგუფი მისი პრეზიდენტის ჯ. ნკომოს მეთაურობით.

დააარსეს სააგენტო

პარიზი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული ენერგეტიკული სააგენტოს დაარსების შესახებ. როგორც მთავრობის კომუნიკეშია აღნიშნული, მისი ამოცანა იქნება შეიმუშაოს ენერგორესურსების მომჭირნეობის ღონისძიებანი, აგრეთვე აამოქმედოს ენერგიის ახალი წყაროები.

ექსტრემისტები ჩაბარდნენ

დელი. ხელისუფლებს ჩაბარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის ძნელად მისაწვდომ რაიონებში მოქმედი აკრძალული მიზოს ეროვნული ფრონტის წევრი კიდევ ცხრა ექსტრემისტი. როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ამ სეპარატისტული დაჯგუფების წევრი ბანდიტების საერთო რიცხვმა, რომლებმაც უკანასკნელ დროს თავი დამარცხებულად ცნეს, 95 კაცს მიაღწია.

უმუშევრობა იაპონიაში

ტოკიო. იაპონიაში სწრაფი ტემპით იზრდება უმუშევრობა. ახლა, წერს გაზეთი „აკაჰატა", ქვეყანაში 5 მილიონი უმუშევარია. იაპონიაში „ზედმეტი ადამიანების" არმიის გადიდება, აღნიშნავს „აკაჰატა", სტიმულს აძლევს ინფლაციის ზრდას, იწვევს ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას.

● **რუმინეთი**

დეკრეტები ძალაში შევიდა

ბუქარესტი. როგორც აჯერპრესის სააგენტო იუწყება, 15 თებერვალს ძალაში შევიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს დეკრეტები სასურსათო საქონლის საცალო ფასების მომატებისა და აგრეთვე, ამ ფასების ზრდის კომპენსაციის წესით ხელფასის, პენსიებისა და ბავშვების დახმარების გადიდების შესახებ.

ფოტოობიექტივი ამხილებს

დიქტატორულმა რეჟიმმა ჰაიტი ლათინური ამერიკის ყველაზე ღარიბ ქვეყნად აქცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 1975 წლიდან 500 ათასზე მეტი ჰაიტელი დაიხოცა შიმშილით. ქრონიკული შიმშილისა და ეპიდემიურ დაავადებათა გამო ყოველი მეორე ბავშვი ოთხი წლის ასაკსაც ვერ აღწევს. მოსახლეობის ორი მესამედი უმუშევარია.

უკიდურეს გაჭირვებას თავი რომ დააღწიონ, ათასობით ჰაიტელი ფლორიდის შტატის სანაპიროსაკენ სიცოცხლისათვის სახიფათო გზას ადგება; ხშირად ისინი იძულებული არიან დახმარება სთხოვონ დამნაშავეობის სამყაროს წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს ითბობენ ადამიანთა ტანჯვა-ვაებაზე.

მცირეაფრიანი გემებით მათ გარკვეულ საფასურად ჰაიტის მცხოვრებლები ფლორიდაში არალეგალურად გადაჰყავთ. მაგრამ, როგორც იუპის სააგენტო იუწყება, ხშირია შემთხვევები, როცა გემის მფლობელები, საპატრულო სამსახურს რომ გადაეყრებიან, „კვალის" მოსასპობად მგზავრებს წყალში ყრიან.

სურათზე: ოკეანის გადაცურვის ცდის დროს დაღუპულ ჰაიტელთა გვამები.

საქდესის ფოტო.

ირაკლი შუშანია

დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა საოპერო ხელოვნებამ — მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, 1959 წლიდან სკკპ წევრი ირაკლი ლავრენტის ძე შუშანია.

ი. შუშანია დაიბადა 1927 წელს ქ. თბილისში, 1951 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მუშაობდა ექიმად. პარალელურად 1955 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტად და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამ კოლექტივის თვალსაჩინო წევრი იყო.

ტემპერამენტი, ემოციურობა, მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა მისი შემოქმედების მთავარი ნიშანთვისება იყო. ი. შუშანიას არტისტული დიაპაზონი კარგად ითავსებდა სხვადასხვა ჟანრისა და ხასიათის როლებს. იგი ერთნაირი წარმატებით განასახიერებდა როგორც გმირულ, ისე სახასიათო-კომიკურ პერსონაჟებს — ბორის გოდუნოვსა და ვარლაამს (მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"), მეწისქვილეს (ა. დარგომიჟსკის „ალი"), გრემინს (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), დონ ბაზილიოს (როსინის „სევილიელი დალაქი"), მეფისტოფელს (შ. გუნოს „ფაუსტი"), ლეპორელოს (მოცარტის „დონ ჟუანი"), ცანგალას (ზ. ფალიაშვილის „დაისი") და სხვა.

საოპერო კლასიკის გვერდით ი. შუშანია სისტემატურად მუშაობდა თანამედროვე საბჭოთა რეპერტუარზე. თანამედროვე გმირთა შორის აღიარება მოიპოვა მისმა ტკაჩენკომ პროკოფიევის ოპერაში „სიმონ კოტკო". შემოქმედების ბოლო წლები ი. შუშანიამ ქართულ თანამედროვე ოპერას დაუკავშირა და ერთიმეორეს მოჰყვა შესანიშნავად გახსნილი სახეები — შერგილი (რ. ლაღიძის „ლელა"), ხუტა (ო. თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული") და კაც ზვამბაია (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება"), რომელსაც ი. შუშანია წარმატებით ასრულებდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზეც.

ი. შუშანიას შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო საკონცერტო მოღვაწეობა, მჭიდრო კავშირი ქართულ საკომპოზიტორო სკოლასთან. იგი მრავალი წლის მანძილზე უძღვებოდა ვოკალის კლასს თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

ი. შუშანია მთელი შემოქმედებითი ცხოვრებით, ადამიანური გულისხმიერებით, კეთილშობილებით, ხალისიანი იუმორით ყოველთვის სანიმუშო იქნება მათთვის, ვინც თავისი ცხოვრება ვოკალური ხელოვნების სამსახურს დაუკავშირა.

ი. შუშანიას ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი
ირაკლი ლავრენტის ძე შუშანია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკი — ერევნის ზონალურ ტურნირზე

ერევნის საბჭოთა ზონალურ ტურნირზე, რომელიც ჭადრაკის სახლში მიმდინარეობს, გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. დამთავრდა ექვსი პარტია. ვაჰანიანმა დაამარცხა გ. აგზამოვი, რომანიშინმა — ზაიცევი, ხოლო იუსუპოვმა — ვ. ტუკმაკოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ გელერი — კუპრეიჩიკი, სვეშნიკოვი — ი. დორფმანი და ვ. გავრიკოვი — გ. კუზმინი. ორი პარტია გადაიდო. გიორგაძეს უპირატესობა აქვს ს. დოლმატოვთან, ფსახისს — ცეშკოვსკისთან. პირველი ტურიდან გადადებულ პარტიაში ე. ფსახისი და იუსუპოვი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი ტურის შემდეგ ა. იუსუპოვს, ვ. კუპრეიჩიკს 2-2 ქულა აქვთ, ლ. ფსახისს, რ. ვაჰანიანს — 1,5-1,5 (1-1), თ. გიორგაძეს 1 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

დაწინაურდა ტიმანი

მარ-დელ-პლატაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. მერვე ტურში ჰოლანდიელმა იან ტიმანმა მოუგო არგენტინელ მიგელ კინტეროსს, ლევ პოლუგაევსკიმ — არგენტინელ ფერნანდო ბრაგას. ყაიმით დამთავრდა უნგრელი ლაიოშ პორტიშის შეხვედრა შვედ ულფ ანდერსონთან. ანატოლი კარპოვისა და არგენტინელი სერხიო ჯიარდელის პარტია გადაიდო.

რვა ტურის შემდეგ ტურნირს 6,5 ქულით ლიდერობს იან ტიმანი, ლაიოშ პორტიშს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. 4,5 ქულით (1 გადადებული პარტია) მესამე ადგილზეა ლევ პოლუგაევსკი. მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს 3

ათასნაირი ტიტული

ფრანგმა ჟურნალისტებმა „დაარიგეს" წლის საფეხბურთო ტიტულები. საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია „ნანტის" მცველი, 26 წლის მაქსიმე ბოსი. უძლიერეს კლუბად მიჩნეულია „სენტ-ეტიენი", ყველაზე კორექტულ მოთამაშედ — რომტო („პარი-სენ-ჟერმენი"), ხოლო ყველაზე ბრძოლისუნარიან ფეხბურთელად — ლოპეზი („სენტ-ეტიენი"). თბილისელთათვის ნაცნობმა შარლ ორლანდუჩიმ მიიღო „ერთგულების პრიზი" — იგი უკვე 13 სეზონია „ბასტიის" ღირსებას იცავს.

უძლიერეს უცხოელ მოთამაშეებად დასახელეს შვეიცარიელი უმბერტო ბარბერისი („მონაკო") და პოლონელი ანჯეი შარმახი („ოქსერი"). წლის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი დაიმსახურა ბორდოს „ჟირონდას" ხელმძღვანელმა ჟაკემ, ხოლო საუკეთესო მსაჯისა — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა მიშელ ვოტრომ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მეგობრის ხსოვნას

ბეჭდვითი სიტყვის ქართველ ოსტატთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი პოლიგრაფისტი, პოლიგრაფიული მრეწველობის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი და ჩინებული სპეციალისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი, 1942 წლიდან სკკპ წევრი ერასტი ლეონტის ძე წიწვიძე.

77 წელი იცოცხლა ერასტი წიწვიძემ და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პოლიგრაფიის, სასტამბო ხელოვნების სამსახურს შეალია.

1924 წელს 20 წლის ჭაბუკი ქუთაისიდან თბილისში რომ მიავლინეს „მუშფაკში" სასწავლებლად, მაშინაც კი სწავლის პარალელურად მბეჭდავად მუშაობდა დედაქალაქის სხვადასხვა სტამბაში. შემდეგ ის იყო, უმაღლესი პოლიგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა მოსკოვში და კვლავ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტად დაუბრუნდა საყვარელ საქმეს. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელობდა თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს, „სახელგამს", ლითოგრაფიას, მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს დირექტორის მოადგილედ და სხვა.

ერასტი წიწვიძე თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატი იყო, ზედმიწევნით კარგად იცნობდა პოლიგრაფიული წარმოების ყოველ უბანს, ერთნაირი წარმატებით მუშაობდა პოლიგრაფიული მრეწველობის ურთულესი მანქანების დამონტაჟებაზე, ახალი შრიფტების დამუშავებაზე, წიგნის კინძვისა და აღკაზმულობაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად განხორციელდა ოფსეტური ბეჭდვა ოთხ ფრად.

ასევე წარმატებით გადაჭრა მან „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" საშრიფტო მეურნეობისა და პოლიგრაფიული შესრულების პრობლემური სიძნელეები.

ერასტი წიწვიძის ღვაწლსა და დამსახურებას არ დაივიწყებს შთამომავლობა.

საქართველოს გამსახკომი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი პოლიგრაფისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი
ერასტი ლეონტის ძე წიწვიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 22 თებერვალი

სამშაბათი, 23 თებერვალი

ოთხშაბათი, 24 თებერვალი

ხუთშაბათი, 25 თებერვალი

პარასკევი, 26 თებერვალი

შაბათი, 27 თებერვალი

კვირა, 28 თებერვალი

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 22 თებერვალი

ოთხშაბათი, 24 თებერვალი

სამშაბათი, 23 თებერვალი

ხუთშაბათი, 25 თებერვალი

პარასკევი, 26 თებერვალი

შაბათი, 27 თებერვალი

კვირა, 28 თებერვალი

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ქ. მოსკოვში 1982 წლის 15 თებერვალს გამართული 125-ე მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ას ერთივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100143	1—50	40	139716	32*)	500	169996	49*)	500
101083	42*)	1000	140018	02*)	500	170042	26*)	500
102166	14*)	500	140951	1—50	100	170735	18*)	500
102341	09*)	500	142262	08*)	500	172266	41*)	500
102391	45*)	500	142526	46*)	500	172569	10*)	1000
102638	28*)	1000	143589	11*)	500	175478	1—50	40
103303	1—50	40	145166	1—50	40	175619	21*)	500
103927	38*)	500	145274	12*)	500	175928	49*)	1000
104547	05*)	1000	146748	31*)	500	176617	1—50	40
105096	34*)	2500	148483	1—50	100	176753	03*)	1000
105268	31*)	500	149138	21*)	500	177205	17*)	500
106316	48*)	500	149612	1—50	40	177238	1—50	40
106393	22*)	500	149653	1—50	100	178646	06*)	500
106710	48*)	500	150351	48*)	500	178896	22*)	500
107782	38*)	500	150369	15*)	500	179579	1—50	100
108250	02*)	500	150415	1—50	40	179699	1—50	40
108309	1—50	100	150418	04*)	500	180379	25*)	500
108686	21*)	2500	150498	1—50	100	180501	1—50	100
109006	1—50	100	151441	11*)	500	181021	18*)	500
109722	1—50	100	151641	1—50	40	181121	40*)	500
110706	44*)	500	151996	21*)	1000	181951	44*)	500
111536	01*)	500	152318	1—50	40	182291	44*)	500
113427	11*)	5000	153062	1—50	100	182346	43*)	500
113477	37*)	1000	153419	36*)	500	182569	1—50	100
113581	1—50	40	153440	08*)	500	182675	33*)	500
113882	34*)	500	153875	24*)	500	182961	26*)	500
114463	1—50	100	154395	35*)	500	183483	1—50	40
115651	17*)	500	154505	42*)	500	183711	1—50	40
115890	1—50	40	154698	10*)	500	184370	26*)	500
116814	25*)	500	154833	40*)	500	184634	50*)	500
117038	1—50	40	156681	37*)	500	184808	1—50	100
118120	1—50	40	156721	29*)	1000	185416	1—50	40
119385	1—50	40	156824	1—50	40	185547	03*)	500
121133	1—50	40	157455	39*)	500	185563	06*)	2500
121548	19*)	500	157700	01*)	500	185801	35*)	500
121673	45*)	500	159684	1—50	40	185938	31*)	500
122371	1—50	40	160151	19*)	500	187609	44*)	500
122589	1—50	100	160214	14*)	500	187942	25*)	500
124673	29*)	1000	160260	19*)	500	188100	1—50	40
125380	23*)	500	160884	19*)	500	188485	16*)	1000
126318	1—50	40	161744	1—50	40	188983	02*)	500
127090	33*)	2500	162011	37*)	500	189230	1—50	40
127511	25*)	500	162534	11*)	1000	189927	10*)	500
127965	32*)	500	162859	10*)	500	189949	30*)	1000
128942	01*)	500	162879	19*)	500	190493	32*)	500
129754	1—50	40	163477	15*)	500	190580	12*)	500
129758	04*)	500	164596	50*)	2500	191296	1—50	40
130477	50*)	500	164726	41*)	500	191574	03*)	500
130536	42*)	5000	164797	15*)	500	191994	1—50	40
130667	32*)	500	164856	41*)	500	192243	38*)	500
130711	10*)	500	165571	40*)	500	192324	25*)	500
132323	15*)	1000	165574	1—50	40	192397	04*)	1000
132460	37*)	500	165625	48*)	1000	192439	47*)	500
132590	39*)	500	165901	45*)	500	192788	30*)	500
133538	1—50	100	166546	02*)	500	193543	46*)	500
133586	38*)	1000	167160	34*)	500	194209	14*)	1000
134622	01*)	500	167665	1—50	40	195060	19*)	500
135102	1—50	40	167715	08*)	500	195556	45*)	500
135148	11*)	500	167858	19*)	500	195787	29*)	500
135244	42*)	1000	168149	33*)	500	197121	1—50	40
135365	25*)	1000	168276	27*)	500	197137	36*)	500
139052	17*)	500	168455	02*)	500	197186	1—50	40
139072	1—50	40	168829	1—50	40			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხი

ქ. მოსკოვში 1982 წლის 15 თებერვალს გამართული მოგებათა 1-ლი ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ორი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200765	1—100	100	237195	1—100	100	271571	1—100	250
201089	1—100	100	237424	054*)	500	271654	030*)	1000
201103	083*)	500	237933	017*)	2500	271820	1—100	250
201441	040*)	1000	238310	088*)	1000	271861	1—100	100
202372	1—100	250	239813	036*)	1000	272417	067*)	1000
202527	004*)	1000	240266	1—100	100	273414	025*)	500
205711	1—100	100	240738	1—100	100	274409	1—100	100
205793	024*)	1000	241425	004*)	1000	274748	1—100	100
206115	033*)	500	241911	1—100	250	274826	057*)	500
206629	053*)	1000	242099	1—100	100	275205	056*)	500
207687	1—100	100	242360	042*)	500	275269	099*)	1000
207859	023*)	2500	242824	015*)	1000	275500	1—100	250
208193	039*)	500	243687	019*)	1000	275901	090*)	1000
208376	1—100	100	244660	013*)	500	276066	1—100	100
208892	028*)	1000	244719	054*)	1000	276297	042*)	1000
208969	077*)	2500	245125	089*)	500	276667	048*)	500
209319	1—100	250	245385	073*)	500	277389	027*)	500
210739	021*)	500	245435	082*)	5000	277650	028*)	1000
210830	016*)	1000	245443	032*)	2500	277931	011*)	1000
210996	1—100	100	245740	1—100	100	278365	031*)	5000
212155	008*)	2500	245916	041*)	500	278969	1—100	250
212402	061*)	1000	246039	004*)	500	279954	016*)	1000
212712	044*)	500	246297	013*)	1000	280161	006*)	2500
213060	1—100	100	246952	1—100	100	280299	053*)	500
213712	1—100	100	247023	053*)	500	280722	081*)	500
214372	026*)	500	247895	1—100	100	281857	1—100	250
215562	006*)	5000	247927	021*)	2500	282308	027*)	2500
215792	003*)	2500	247960	013*)	500	282594	075*)	1000
216612	071*)	1000	249664	071*)	1000	282595	061*)	10 000
216933	077*)	1000	250280	082*)	500	283529	1—100	250
217000	012*)	500	250683	002*)	2500	283638	073*)	500
217412	063*)	1000	250784	1—100	100	283791	068*)	1000
217462	026*)	1000	251145	009*)	1000	283830	1—100	100
217467	057*)	500	252236	1—100	100	284095	040*)	5000
217718	1—100	100	252465	1—100	250	284193	092*)	1000
218281	003*)	1000	252534	061*)	500	284339	037*)	2500
220386	051*)	500	252716	029*)	1000	284478	014*)	500
220685	098*)	500	253202	1—100	250	284766	012*)	1000
221150	024*)	1000	253788	040*)	1000	284899	1—100	250
221593	1—100	100	254462	029*)	500	285035	016*)	500
221661	026*)	2500	254875	1—100	100	285194	1—100	250
222174	041*)	1000	256562	1—100	250	285329	044*)	1000
222481	018*)	1000	256901	072*)	500	285612	1—100	250
223333	075*)	500	257166	009*)	1000	286462	004*)	2500
223572	003*)	2500	257802	022*)	500	286813	1—100	100
224445	1—100	250	258060	099*)	5000	287104	1—100	100
224931	080*)	500	258728	013*)	1000	287611	087*)	500
224977	1—100	100	258808	1—100	500	287634	057*)	500
225752	004*)	500	258886	1—100	500	289092	002*)	1000
226116	040*)	1000	259623	1—100	250	289822	076*)	2500
227837	025*)	2500	259752	003*)	2500	290130	1—100	100
227857	100*)	1000	260052	062*)	1000	290684	1—100	250
227915	1—100	250	260683	001*)	2500	290757	083*)	1000
228622	031*)	2500	261410	012*)	1000	290880	1—100	250
230026	1—100	100	262017	061*)	1000	291695	085*)	500
230147	1—100	250	262923	1—100	100	294010	064*)	1000
230404	064*)	1000	263289	1—100	100	294575	033*)	1000
231081	076*)	1000	264285	1—100	100	295509	1—100	100
231250	1—100	100	264705	054*)	500	296227	1—100	250
231428	100*)	500	265249	1—100	100	296729	1—100	250
231823	004*)	500	266136	063*)	500	296829	069*)	500
232104	096*)	500	266456	1—100	250	297765	1—100	100
232743	026*)	500	266505	1—100	100	297920	1—100	250
235675	1—100	100	267026	061*)	500	298060	064*)	500
236180	1—100	100	267669	091*)	1000	298371	059*)	1000
236418	054*)	2500	269706	035*)	500	298811	1—100	100
236466	1—100	100	270089	053*)	1000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ოცდახუთმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08103 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19